

წესები
საარბიტრაჟო ხარჯებისა და
მოსაკრებლების გადახდის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“ – საწყისი თანხა, რომელიც გადაიხდება არბიტრაჟში დავის აღძვრით დაინტერესებული პირის მიერ, დავაზე არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობამდე და წარმოადგენს „საარბიტრაჟო მოსაკრებელს“ შემადგენელ ნაწილს.

2. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ – თანხა, რომელიც გადაიხდება დაინტერესებული პირის მიერ, საარბიტრაჟო სარჩელზე, (შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელზე) განცხადებაზე გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოების შესახებ, მოვალის პროტესტზე გადახდის ბრძანების წინააღმდეგ, – დავაზე არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შემდგომ.

3. „არბიტრაჟის დამატებითი ხარჯი“ – ხარჯები, რომლებიც წარმოიშევა დავის არსებითი განხილვის პროცესში, კონკრეტული მოქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით “ექსპერტიზა, თარჯიმნის მომსახურება, დოკუმენტების დამოწმება, მოწმეთა წარმოდგენა, არბიტრათა მივლინება და სხვა).

4. „მხარეთა ხარჯი“ – ხარჯები, რომელსაც გაიღებენ მხარეები, არბიტრაჟში საკუთარი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

5. არბიტრაჟში დავის განხილვასთან დაკავშირებული „მოსაკრებლები“ გადახდილად ჩაითვლება, თანხის „არბიტრაჟის“ ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.

მუხლი 2. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“

1. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“ – წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას და დავის საგნის ღირებულების მიუხედავად, შეადგენს 150 ლარს.

2. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“ არ ექვემდებარება დაბრუნებას. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ გადახდისას, იგი ჩაითვლება აღნიშნულ თანხაში.

მუხლი 3. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“

1. არამატერიალური ხასიათის სასარჩელო მოთხოვნებზე, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ ფიქსირებულია და შეადგენს: 500 (ხუთასი) ლარს.

2. მატერიალური ხასიათის სასარჩელო მოთხოვნებზე, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ სამი წევრისაგან შემდგარი „არბიტრაჟის“ შემთხვევაში, განისაზღვრება ცხრილი №1-ის შესაბამისად.

4. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ საქართველოს რეზიდენტებისათვის გადაიხდებოდა ქართულ ლარებში. არარეზიდენტებისათვის „არბიტრაჟთან“ შეთანხმებით, სადაო თანხის შესაბამის ვალუტაში ან ქართულ ლარში, გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური კურსით.

მუხლი 4. საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირება და დაბრუნება

1. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ მცირდება 20%-ით:

ა) ერთი წევრისაგან შემდგარი „არბიტრაჟის“ მიერ, საქმის საერთო წესით განხილვის შემთხვევაში;

ბ) საქმის, გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განხილვის შემთხვევაში;

2. ერთი წევრისაგან შემდგარი „არბიტრაჟის“ მიერ, საქმის გამარტივებული წარმოებით განხილვის დაწყებისა და მისი საერთო წესით გაგრძელების შემთხვევაში „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ მცირდება 20%-ით.

3. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ შეწყვიტა დავა:

3.1.1. საქმის მომზადების სტადიაზე, ზეპირი განხილვის დაწყებამდე – დაბრუნებას ექვემდებარება გადახდილი „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“-ს 80%.

3.1.2. პირველივე სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე – დაბრუნებას ექვემდებარება გადახდილი „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“-ს 70%.

4. საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, დავის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ ნახევრდება.

5. საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება გადახდილი „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“; „სარეგისტრაციო მოსაკრებლის“ გამოკლებით. დავის განახლების შემთხვევაში, გამოკლებული თანხა დაინტერესებულ პირს ჩაეთვლება გადახდილად და გადახდას დაექვემდებარება „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ დარჩენილი თანხა.

6. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავაზე არბიტრაჟი ცნობილი არ იყნა კომპეტენტურად – დაბრუნებას ექვემდებარება გადახდილი „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“; „სარეგისტრაციო მოსაკრებლის“ გამოკლებით.

7. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისათვის, 1, 2, 3, 4 პ/ით გათვალისწინებულ შემცირებასთან ერთად, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ დამატებით მცირდება 10% -ით.

8. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ შემცირების და დაბრუნების საფუძველი აისახება საბოლოო გადაწყვეტილებაში ან არბიტრაჟის ცალკე დადგენილებაში. თუ საქმისწარმოება წყდება არბიტრაჟის ფორმირებამდე აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ (თავმჯ-ის მოადგილე).

მუხლი 5. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ გადავადება, გაწილვადება

1. მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით არბიტრაჟი („მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“) უფლებამოსილია ცალკე დადგენილებით, გადაუვადოს, ან გაუწილვადოს მას „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ გადახდა. გაწილვადებული „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“-ს დარჩენილი ნაწილი, სრულად უნდა იქნას დაფარული საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

2. არბიტრაჟის მიერ ერთერთი მხარის მიმართ დადგენილი შელავათები ვერ მოახდენს გავლენას მეორე მხარის გადახდის ვალდებულებაზე.

მუხლი 6. არბიტრაჟის დამატებითი ხარჯი

1. არბიტრაჟის დამატებითი ხარჯები გაიღება დაინტერესებული მხარის მიერ.

2. დამატებით ხარჯებზე გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობა, მიიჩნევა დაინტერესებული მხარის მიერ, შესაბამისი საპროცესო უფლებით (მოქმედებით) სარგებლობაზე უარის თქმად და საქმის განხილვა გაგრძელდება საქმეში ფაქტობრივად არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

მუხლი 7. საარბიტრაჟო ხარჯებისა და მოსაკრებლების განაწილება მხარეთა შორის

1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“, „დამატებითი ხარჯები“ და მხარის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით გაწეული, გონივრული ხარჯი („მხარეთა ხარჯი“) ეკისრება მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

2. საარბიტრაჟო სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შემთხვევაში, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ შესაბამის მხარეს ეკისრება მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად.

3. საქმის კონკრეტული გარემოებების, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, „არბიტრაჟი“ უფლებამოსილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაადგინოს, საარბიტრაჟო ხარჯებისა და მხარეთა დანახარჯების განაწილების, დებულებით დადგენილისაგან განსხვავებული წესი. ერთერთ მხარეს მეორეს სასარგებლოდ დააკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული იმ ზედმეტი დანახარჯების ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებით და იწვევდა საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.